



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №87

ქ.თბილისი


„27“ ნოემბერი 2017 წ.

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში „ლუხუნიჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 ნოემბრის N2388 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გამოცხადდეს ინტერესთა გამოხატვა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში „ლუხუნიჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე ამ ბრძანების დანართში მოცემული პირობებით.
2. წინამდებარე ბრძანება და თანდართული „რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში „ლუხუნიჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობები“ განთავსდეს სამინისტროს ვებგვერდზე: www.energy.gov.ge.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.


დოია ელოშვილი

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში „ლუხუნიჰესი 2“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობები

1. ინტერესთა გამოხატვის მიზანი

- 1.1. ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების მიზანია „ლუხუნი 2“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების ექსკლუზიური უფლების გადაცემა იმ პირისთვის, რომელიც დააკმაყოფილებს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილ პირობებს.
- 1.2. ინტერესთა გამოხატვის პირობები, გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები და „ლუხუნი 2“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის საწყისი ღირებულება დადგენილია წინამდებარე პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. პროექტის აღწერილობა და ძირითადი პირობები

- 2.1. დასახელება: „ლუხუნი 2“ ჰიდროელექტროსადგური
- 2.2. ადგილმდებარეობა: საქართველო, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, მდ. ლუხუნი;
- 2.3. მდინარის ნიშნულები: 1170-890 მ.ზ.დ.;
- 2.4. სავარაუდო დადგმული სიმძლავრე: 12 მგვტ;
- 2.5. სავარაუდო წლიური გამომუშავება: 73,58 მლნ. კვტ.სთ;
- 2.6. სამშენებლო ფაზა - ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციაში მიღების ვადა: არაუმეტეს 24 თვისა საქართველოს მთავრობასთან შესაბამისი ურთიერთგაგების მემორანდუმის დადებიდან;
- 2.7. ელექტროენერჯის რეალიზაცია - ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან სრული ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (იანვარი, თებერვალი, დეკემბერი) ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული რეალიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად, კომპანიის შეხედულებისამებრ საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველზე თავისუფალ (დერეგულირებულ) ფასად.
- 2.8. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობით დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი განაცხადის, კერძოდ, წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ურთიერთგაგების მემორანდუმის დადებისა და პროექტის ღირებულების გადახდის უზრუნველსაყოფად წარმოსადგენი საბანკო გარანტიის ოდენობა: ინტერესთა გამოხატვით განსაზღვრული პროექტის საწყისი ღირებულების 10%, მოქმედების ვადა: 26 თვე. ამასთან, საბანკო გარანტია ასევე უნდა უზრუნველყოფდეს ელექტროსადგურის მშენებლობის განახლებას და ექსპლუატაციაში მიღებას მთავრობასთან დადებული შესაბამისი ურთიერთგაგების მემორანდუმის პირობების შესაბამისად. საბანკო გარანტია უნდა იყოს გაცემული „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ („OECD“) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. საბანკო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15%-ს.

3. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის პირობები

- 3.1. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობით დაინტერესებულმა პირმა ინტერესთა გამოხატვით დადგენილ ვადაში საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს უნდა წარუდგინოს წინადადება (განაცხადი) ამავე ინტერესთა გამოხატვით დადგენილი პირობების შესაბამისად. განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია/ინფორმაცია:
 - 3.1.1. განცხადება ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მიზნით რეგისტრაციის შესახებ;
 - 3.1.2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. უცხო ქვეყნის კანონმდებლობით რეგისტრირებული იურიდიული პირის შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა იყოს შესაბამისი წესით დამოწმებული;
 - 3.1.3. წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლები, ხოლო თუ წარმომადგენლის უფლებამოსილება არ დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერიდან, დამატებით - წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
 - 3.1.4. პროექტის შემოთავაზებული ღირებულება, რომელიც უნდა აღემატებოდეს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილ მინიმუმს;
 - 3.1.5. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილი საბანკო გარანტია, რომელიც უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი.
- 3.2. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარმოადგინოს დალუქული კონვერტით.
- 3.3. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობაზე განცხადების მიღება და რეგისტრაცია ხდება განმცხადებლის მიერ სრული დოკუმენტაციის წარდგენისთანავე, რის შემდეგაც განმცხადებელი იძენს ინტერესთა გამოხატვაში მონაწილის სტატუსს.
- 3.4. განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობაზე თუ დარღვეულია ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

4. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის გამოვლენა

- 4.1. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით განსაზღვრული პროექტის საწყისი ღირებულება განისაზღვრება 11,500,000 აშშ დოლარით.
- 4.2. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილი ვადის ამოწურვის შემდგომ, ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირ(ებ)ის განაცხადები, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილ პირობებს წარედგინება მთავრობას გამარჯვებულის დასადგენად.
- 4.3. განაცხადები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ინტერესთა გამოხატვით დადგენილ პირობებს ან/და რომლებიც წარმოდგენილია ვადების დარღვევით, რჩება განუხილველი, რაზეც საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო შესაბამის პირ(ებ)ს უგზავნის შეტყობინებას.
- 4.4. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულს ადგენს საქართველოს მთავრობა შემდეგი პირობებით:

- 4.4.1. იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა გამოხატვის შედეგად, საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილია ორი ან მეტი განაცხადი, საქართველოს მთავრობა გამარჯვებულად დაადგენს იმ მონაწილეს, რომელიც საქართველოს მთავრობას შესთავაზებს ყველაზე მაღალ ფასს პროექტისთვის.
- 4.4.2. იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან მეტმა განაცხადმა მიიღო თანაბარი საუკეთესო შეფასება, მთავრობა ამ განაცხადების წარმომდგენ პირებს უსაზღვრავს დამატებით ვადას, შეფასების კრიტერიუმის ნაწილში გაუმჯობესებული წინადადებების წარმოდგენის მიზნით.
- 4.4.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის შედეგად, საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილია მხოლოდ ერთი განაცხადი, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ განაცხადის წარმომდგენი პირი ცნოს გამარჯვებულად, იმ პირობით, რომ ასეთი განაცხადი აკმაყოფილებს წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილ ყველა პირობას.
- 4.5. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის შედეგად, საქართველოს მთავრობის მიერ ვერ იქნა გამოვლენილი გამარჯვებული პირი, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს ინტერესთა გამოხატვის ხელმეორედ გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში, პროექტის საწყისი ღირებულება განისაზღვრება 4.1. პუნქტში მითითებული ღირებულების განახევრებული ოდენობით.
- 4.6. იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა გამოხატვის ხელმეორედ გამოცხადების შედეგადაც საქართველოს მთავრობის მიერ ვერ იქნა გამოვლენილი გამარჯვებული პირი, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს ინტერესთა გამოხატვის მესამეჯერ გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში პროექტის საწყისი ღირებულება განისაზღვრება 4.5. პუნქტში მითითებული ღირებულების განახევრებული ოდენობით.
- 4.7. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან დაიდება პროექტის განხორციელების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი, ხოლო დანარჩენ პირებს, საქართველოს მთავრობის მიერ გამარჯვებულის გამოვლენიდან 30 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო დაუბრუნებს მათ მიერ წარმოდგენილ საბანკო გარანტიებს.
5. ინტერესთა გამოხატვის სპეციალური დებულებები
- 5.1. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი ვალდებულია გამარჯვებულად ცნობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში გადაუხადოს შპს „რუსთავი ჯგუფს“ (ს/კ:416291220) ის თანხა (5.2. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ჯარიმის თანხის გამოკლებით), რომელიც საფუძვლად დაედო ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის გამარჯვებულად ცნობას იმ პირობით, რომ შპს „რუსთავი ჯგუფი“ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს გადასცემს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო აქტივებს, რომელიც გადაცემის მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო.
- 5.2. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი ვალდებულია:
- ა) გამარჯვებულად ცნობიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წლის 11 აგვისტოს N1699 განკარგულების საფუძველზე შპს „რუსთავი ჯგუფისთვის“ დაკისრებული ჯარიმის თანხის გადახდა 53,500 აშშ დოლარის ოდენობით შემდეგ საბანკო ანგარიშზე: საქართველოს

ეროვნული ბანკი, თბილისი; SWIFT CODE: BNLNGE22, მიმღები: საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო (სავალუტო კოდი: 999990070), ანგარიში - აშშ დოლარი, IBAN: GE65NB0331100001150207.

ბ) გამარჯვებულად ცნობიდან 90 (ოთხმეცდაათი) დღის ვადაში, საქართველოს მთავრობასთან დადოს „ლუხუნი 2“ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელების თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც თან ერთვის საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ინტერესთა გამოხატვის პირობებს. ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ რაც ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი შეასრულებს ამ მუხლის 5.1. პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას და მთავრობას წარუდგენს აღნიშნულის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

- 5.3. ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტში მთავრობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები, ამ ინტერესთა გამოხატვით დადგენილი პირობების შეუცვლელად.
- 5.4. იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირმა არ შეასრულა 5.1. ან/და 5.2 პუნქტებით დადგენილი რომელიმე ვალდებულებამთავრობა უფლებამოსილია სრულად გამოითხოვოს გამარჯვებული პირის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია, ასევე, გამარჯვებულად ცნოს და ურთიერთგაგების მემორანდუმი დადოს დარჩენილ მონაწილეებს შორის მომდევნო საუკეთესო განაცხადის წარმომდგენ პირთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 5.5. პროექტი უნდა განხორციელდეს ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის სახსრებით.
- 5.6. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე(ებ)ს/დაინტერესებულ პირ(ებ)ს არ აუნაზღაურდებათ ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით მათ მიერ გაწეული დანახარჯები.

6. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის ვალდებულებები სამშენებლო ფაზის ფარგლებში

- 6.1. სამშენებლო ფაზის ფარგლებში, ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებულის გარდა, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის ვალდებულებებია:
 - 6.1.1. საჭიროების შემთხვევაში, პროექტის არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი უფლებების მოპოვება;
 - 6.1.2. საჭიროების შემთხვევაში, პროექტის განსახორციელებლად საჭირო მშენებლობის ნებართვის აღება;
 - 6.1.3. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყება, სამშენებლო სამუშაოების წარმოება საქართველოს კანონმდებლობის, სამშენებლო, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით;
 - 6.1.4. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულება და კანონით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება.
- 6.2. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი, რომელმაც წინამდებარე პირობების მიხედვით დადო ურთიერთგაგების მემორანდუმი, ვალდებულია ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან სრული ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (იანვარი, თებერვალი,

დეკემბერი) ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული რეალიზაცია განხორციელოს საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად, კომპანიის შეხედულებისამებრ საქართველოში არსებულ ნებისმიერ მყიდველზე თავისუფალ (დერეგულირებულ) ფასად.

7. ინტერესთა გამოხატვის ვადები და საკონტაქტო ინფორმაცია

- 7.1. ინტერესთა გამოხატვის შედეგად დაინტერესებულ პირთა მიერ ამავე წესით განსაზღვრული განაცხადის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2017 წლის 28 დეკემბერი, 18:00 საათი.
- 7.2. განაცხადების მიღება ხორციელდება ყოველ სამუშაო დღეს, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში (მის: სანაპიროს №2, ქ. თბილისი, 0105, საქართველო, IV სართულზე).
- 7.3. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში წარმოდგენილი განაცხადების გახსნა/განხილვა განხორციელდება წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დადგენილი განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადის ამოწურვიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში.
- 7.4. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დაინტერესებულ პირები, რომლებსაც საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროში წარდგენილი აქვთ შესაბამისი განაცხადი, უფლებამოსილნი არიან, დაესწრონ წარმოდგენილი განაცხადების გახსნის პროცესს, რის შესახებაც მონაწილე მხარეების ხელმოწერით დგება ოქმი.
- 7.5. დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირები:
 - ნათია ბერიძე, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს საინვესტიციო პროექტების დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, მობ: +995 591 340 909, ტელ: +995 32 2 357 833, ელ-ფოსტა: n.beridze@energy.gov.ge.
 - მის: სანაპიროს №2, ქ. თბილისი, 0105, საქართველო;
 - ვებ-გვერდი: <http://www.energy.gov.ge/>.